

სამოქალაქო

საზოგადოებრივი

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზიეთო ჩანართი №9, 2023 წ.

თქვენ წინაშეა საგაზიეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ოზურგეთის ინოვაციებისა

და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი. გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ წარმებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული

ლირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოუდინოთ ქრონიკული და უცხოელი აქტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასულობების როლსა და მიმშველობაზე პროექტის გუნდი.



საქართველოს კონსტიტუციამ, საარჩევნო კოდექსმა ბევრჯერ განიცადა ცვლილება. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი ხელისუფლების ცვლილების პარალელურია. საკანონმდებლო საქმიანობა ხელისუფლებას ხელენიფერა. შესაბამისად, პირველ რიგში, თავის ინტერესს ითვალისწინებს...

„პროგრესის სახლმა“ ბოლო პერიოდის ცვლილებებზე, არჩევნების მექანიზმებზე, მისი გაუმჯობესების მიმღინარე პროცესებზე სასაუბროდ მოიწვია პატონი ვახტანგ ხმალაძე, კონსტიტუციონისტი, აკადემიური დოქტორი (თეორიული ფიზიკა).

როცა ვხედავთ, რომ სასამართლოში ჩამოყალიბებულია პოლიტიკური კლანური სისტემა, ისევ ნდობის ხარისხის პრობლემაა. ქალალდზე სისტემა სწორად არის წარდგენილი. მაგრამ ეს კომისიები, სასამართლოები როგორ იღებენ გადაწყვეტილებას? ობიექტურად თუ მიკერძოებულად? აქ ნდობის ხარისხი დაბალია...

ხმის დათვლის ელექტრონული სისტემა

დადებითად შევაფასებდი არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებში ამომრჩევლის რეგისტრაციისა და ხმების დათვლისათვის ელექტრონული სისტემის შემოღებას.

ამ სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას აკეთებს საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც უზრუნველყო არაერთ სახელმწიფოში არჩევნების ელექტრონული წესით ჩატარება და აქვს დიდი ავტორიტეტი. არ მგონია, რომ მან შეადგინოს პროგრამა, რომლის მანიპულირება შეიძლება, რადგან ასე რომ მოიქცეს, ადრე თუ გვიან ეს „გასადება“ და იგი დაკარგავს ავტორიტეტს, მას აღარავინ ენდობა და მიიღებს უზარმაზარ მატერიალურ ზარალს. ამიტომ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოხდეს ამ სახის უკანონობა.




ხმის დამთვლელი აპარატი

ასეთი სისტემის დანერგვამ, ერთი მხრივ, უნდა გაზარდოს არჩევნების შედეგებისადმი ნდობის ხარისხი. მეორე მხრივ, როგორც კი დაიხურება საარჩევნო უბნები, ფაქტობრივად, წუთებში იქნება შესაძლებელი უპანზე არჩევნების შედეგების დათვლა, ხოლო კვეყნის მასშტაბით, გვეცოდინება სადღაც ერთ-ორ საათში.

ესეც კარგია ბევრი მიზეზის გამო, მათ შორის – უკანონო მანიპულაციისათვის უფრო ნაკლები დრო იქნება. უამრავი შემთხვევაა, როდესაც კომისიის წევრები მოქცეულან უწესოდ, დაურღვევით კანონი და გადაუნაცვლებიათ და დაუთვლიათ ბიულეტენები მმართველი პარტიის სასარგებლოდ. ელექტრონულად ამას ვერ გააკეთებ.

მაგრამ არჩევნების შედეგების სამართლიანობისათვის აპსოლუტურად არ არის საკმარისი მხოლოდ არჩევნების დღის განვითარების კარგია, სწორია, უკეთესია. მაგრამ ჩჩდება კითხვა: ვერდობით სასამართლოების გადაწყვეტილებებს?

ბატონი ვახტანგი ამბობს, რომ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიერ საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების ნაწილს აძვარად აქვს პოლიტიკური საფუძველი. ეს დაადასტურა ბოლოდორიონდელი საკანონმდებლო სიახლეების განხილვამაც.



კარუსელების, არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობის აღკვეთა, შედეგების სწორად დათვლა...

საარჩევნო პროცესი, ოფიციალურად იწყება მაშინ, როცა პრეზიდენტი დანიშნავს არჩევნების დღეს, არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღით ადრე.

პრეზიდენტის მონაცილეობის უაქტორი ჩამოცილება ცესკოს ცეკრთა გარჩევისგან

2022 წლის ცვლილებით, მოხდა პრეზიდენტის ფაქტობრივი ჩამოცილება ცესკოს წევრთა შერჩევის პროცესიდან, რაც კიდევ უფრო აქვეითებს ნდობას ცესკოს მიმართ.

პროფესიული ნიშნით ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს წევრობის კანდიდატურებს შეარჩევდა პრეზიდენტი და ასარჩევად წარუდგენდა პარლამენტს.

ახალი წესით პარლამენტს მათ კანდიდატურებს, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატებისაგან, პარლამენტის თავმჯდომარე წარუდგენს. საკონკურსო კომისიისასც პარლამენტის თავმჯდომარე ქმნის. და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა არ აირჩია ეს კანდიდატები, პრეზიდენტს ეძლევა კანდიდატების ნარდგენის შესაძლებლობა, ლონდ მხოლოდ საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთაგან.

იმისათვის რომ ვენდოთ არჩევნების შედეგებს, საჭიროა საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების ისეთი წესი, რომელიც საზოგადოების უდიდეს ნაწილს დაარწმუნებს იმაში, რომ ეს კომისიები იქნებიან ინიციატურები და არ ვინმეს ბრძანების შემსრულებელნი.

ნაცილი პირველი - ცვლილებები კანონი


ცესკოს თავმეჯდომარისა და ცევრეპის არჩევის ცესი

2021 წელს, ქართულ ოცნებას და ოპოზიციას შორის დიდი და ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის დახმარებით, შედგა შეთანხმება საარჩევნო კომისიების ფორმირების თაობაზე. ამ ცვლილებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები აირჩიოდა პარლამენტის კვალიფიციური უმრავლესობით. ხოლო თუ საპარლამენტო უმრავლესობა და ოპოზიცია ვერ შეთანხმდებოდა კანდიდატების თაობაზე, კომისიის მუშაობის პარალიზმის ასაცილებლად, მათ ირჩევდა პარლამენტი უბრალო უმრავლესობით, მხოლოდ ერთი ნლით. ერთი და იმავე პირის ნადგენა ამ პოსტზე შეიძლებოდა მხოლოდ ორჯერ. ეს იმავე წელს აისახა კანონში. ამ წესით მმართველი პარტიის უპირატესობა საგრძნობლად მცირდებოდა კომისიებში, მაგრამ უმრავლესობას მაინც ინარჩუნაბოთა.

იმავე წლის სექტემბერში თავმჯდომარის კანდიდატზე ვერ შეთანხმდნენ და უმრავლესობამ ერთი წლის ვადით აირჩია ცესკოს თავმჯდომარე. წინასაახალწლოდლებში, როდესაც მოდუნებულია ყურადღება საკანონმდებლო პროცესებისადმი, მმართველმა პარტიამ შეცვალა ერთი ნორმა: – ახალი წესით, თავმჯდომარეს და კომისიის ყველა წევრს უგრძელდება უფლებამოსილება უფლებამონაცვლის არჩევამდე. შესაბამისად, თუ ვერ მიიღწევა პოლიტიკური ძალების შეთანხმება, კომისიაში მყოფი პირი განუსაზღვრელი ვადით რჩება თანამდებობაზე. ეს „გამოსავალია“ მმართველი ძალისათვის. 2022 და 2023 წლებში, ისევ შეუთანხმებლობის გამო, ცესკოს თავმჯდომარედ კვლავ დარჩა საპარლამენტო უმრავლესობისთვის სასურველი პირი. გამოდის, რომ სანამ არ შეიცვლება პარლამენტი, ისე რომ, მმართველი პარტია შეიცვალოს, ცესკოს თავმჯდომარე და წევრები არ შეიცვლებიან, რადგან შეთანხმება შესაძლებელია ისევ ვერ მოხერხდეს.

ცესკოს შემადგენლობაზეა დამოკიდებული საოლქო, საუბნო კომისიების შემადგენლობა: რა უპირატესობაც აქვს მმართველ პარტიას ცენტრალურ კომისიაში, ისე-თივე უპირატესობა ექნება მას საოლქო, საუბნო კომისიებში.

ასეთი ვითარება არ იწვევს ნდობას, საზოგადოდ, საარჩევნო აღმინისტრაციისადმი. წარმოვიდგინოთ, რომ კომისიის ყველა წევრი ყველა დონეზე არის ობიექტური, მოქმედებენ კანონის და არა მმართველი პარტიის ინტერესების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ნდობა



მაინც დაბალი იქნება, რადგან, საზოგადოდ, საზოგადოების აღქმით, თუ კომისიაში ერთ პარტიას აქვს უმრავლესობა და, შესაბამისად, მას სხვების გარეშე შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, ეს უმრავლესობა იმოქმედებს ამ პარტიის სასარგებლოდ. აი, ეს არის შესაცვლელი.

ვენეციის კომისიის შეფასებით: „რაც არ უნდა იყოს საარჩევნო ბლოკების გაუქმების მიზანი, ეს ცვლილება ხელს შეუძლის მცირე პარტიებს, გადაღახონ 5 პროცენტიანი ბარიერი და ქმნის დაკარგული ხმების რაოდენობის გაზრდის საშიშროებას“. ალტერნატიულ გზად მიიჩნევა დიფერენცირებული ბარიერი პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისათვის. მისი დაწესების რეკომენდაცია ვენეციის კომისიამ 2002 წელს საქართველოსაც გაუწია. მან პარტიული სისტემის რეინსტიტუციონალიზაციისთვის გონივრულად მიიჩნია განსხვავებული სამართლებრივი ბარიერის დაწესება პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისათვის.

ჩანართი მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ. გამოცემაში გამოთქმული მსახიური და შესრულებული მსახიური (National Endowment for Democracy) NED-ის მიერთან.

საუკათასო გზა 2-3 პროცენტიანი პარიერის დანახვება

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების კვლევებით: ძალიან დაბალი საარჩევნო ბარიერი არჩევნების შედეგების არაპროპორციულობის დაბალ დონეს განსაზღვრავს, თუმცა იგი ზრდის პარტიული სისტემის ფრაგმენტაციასა და ფრაქციონალიზაციას. ძალიან მაღალი ბარიერი კი ზღუდავს ფრაგმენტაციას, თუმცა ზრდის ხმებისა და ადგილების არაპროპორციულობას. **ამდენად, საუკეთესო გზა** მათ შორის ბალანსის მიღწევაა, რასაც გარდამავალ ეტაპზე დაახლოებით 2-3 პროცენტიანი პარიერის დაწესება წარმოქმნის. ალსანიშნავია, რომ ის პარტიები, რომლებიც ხმების ან ადგილების ამ რაოდენობის მოგროვებას ახერხებენ, პარტიული სისტემის მკვლევრების მიერ რელევანტურ პარტიებად მიიჩნევიან, რომლებსაც გარკვეული წონა გააჩნიათ იმისთვის, რომ პარტიული სისტემის მოთამაშებებად ჩავთვალოთ.

ნებისმიერი მიმართულებით საარჩევნო პარიერის ცვლილებას, როგორც მექანიკური (მათემატიკური), ისე ფსიქოლოგიური ეფექტები გააჩნია. **ორ არჩევნებს შორის ბარიერის რადიკალური ზრდა დაკავშირებულია პოლი-ტიკურ სისტემაზე უარყოფით გავლენასთან.** მსგავსი შემთხვევების მაგალითებს წარმოადგენს საქართველოს 1992-1995 წლებისა და პოლონეთის 1991-1993 წლების გამოცდილება. **პირველ არჩევნებზე პარლამენტში პარ-ტიულმა ფრაგმენტაციამ ძალიან მაღალ მაჩვენებელს მიაღწია, მეორე არჩევნებზე კი არაპროპორციულობის რეკორდული დონე დაფიქსირდა. აღნიშნული ეფექტები რამდენიმე მომდევნო არჩევნების შედეგებზეც აისახა. ამ-დონად, ამ უარყოფითი ეფექტების თავიდან აჯილებისთ-**

საარჩევნო სუბიექტი	ხელის ნომი	1%-იანი ბარიერი		5%-იანი ბარიერი	
		განაპილებული აფგილები ^a	რაოდენობა	ნილი	აფგილების კიპოთებული განაპილება
ქართული ოცნება - დფენკრეტული საქართველო	48.22%	61	50.83%	77	64.17%
ერთაშინი წაცილენლური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ქალა ერთობაშია“	27.18%	35	29.17%	43	35.83%
სხვა საარჩევნო სუბიექტი	24.59%	24	20%	0	0%
არაპროპრესულობის (Lsq) ინდექსი ^b		2.58			13.90

ვისაც მნიშვნელოვანია, საქართველოში მომდევნო რამდენიმე არჩევნები 5%-ზე დაბალი საარჩევნო პარიერის პროცენტის აღმართობა.

მსგავსი იდეოლოგიისა და პროგრამის პარტიების კოორდინაციისთვის მნიშვნელოვანია, მათ, ბარიერის ამაღლების პირობებში, საარჩევნო ბლოკების ფორმირება კვლავ შეეძლოთ. საგულისხმოა ისიც, რომ წინა-საარჩევნო ბლოკების შექმნის აշრძავაზე არ არის მათი

ალტერნატიულ მეთოდად შეიძლება, განხილული იქნას 2024 წლამდე მოქმედი დიფერენცირებული პარიერის მოდელის გაგრძელება. იმისათვის, რომ პოლიტიკურ-მა პარტიებმა მოახერხონ საარჩევნო წესების მიმართ ადაპტაცია, მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო სისტემაში ცვლილებების შეტანის პროცესი არ მიუახლოვდეს მიმდინარე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის მიწურულს. საქართველოს პარლამენტმა უმოკლეს ვადებში უნდა დაასრულოს კონსტიტუციური ცვლილების პროექტის განხილვა და მხარი უნდა დაუჭიროს მომდევნო თრი საპარლამენტო არჩევნებისთვის სამართლებრივი საარჩევნო ბარიერის შემცირებას. დამატებით, განხილული უნდა იქნას საარჩევნო ბლოკების ფორმირების დაშვების საკითხის.

